№ 52 13 მაისი, პარასკევი 1866—1877 13 მაისი, პარასკევი № 52

დროება

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულიანი სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ., და პეტიტით — 4 კაპ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებდა შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

„დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

		მან.	კაპ.
ფასი	მთელი წლის გაზეთისა — —	8 —	„
	ექვსი თვისა — — — — —	4 —	50
	სამის თვისა — — — — —	2 —	50
	ერთის თვისა — — — — —	1 —	„

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგიგზავნოს რედაქციაში.

ტელეგრამები

ბრძოლის ველიდამ

ქიურუქ-დარა 10 მაისს. არტაანიდამ ყარსისაკენ 9 მაისს 8 ბატალიონი გავიდა არტილერიით. ამათ გენ. ლორის-მელიქოვი გაჰყვა. 10-ს მაისს კიდევ 7 ბატალიონი უნდა გავიდეს, გენ. დეველის წინამძღოლობით. ორთავე ეს კალონნები 12-მაისს მდ. ყარს-ჩაიზე მეოთხეს ჯარებს უნდა შეუერთდეს. ცხენოსანი ჯარი, გენ. შერემეტიევის წინამძღოლობით, ჰანიკს წავიდა. მტრებისაგან დატყვევებული ზარბაზნების ერთი წყება 9-ს მაისს გაიგზავნა ახალქალაქს. სულ 95 ზარბაზანი დარჩენიათ და ამათგან — ორი თავათ ოსმალებისაკან არის გაფუჭებული, გაქცევის დროს. ამ ზარბაზნებს, ალექსანდროპოლით, თფილისში წამოიღებენ. ჩვენკენ გადმოსულმა გენერალ-კის სანჯაკის მმართველმა დაგვჰირდა, რომ ამ დღეებში კიდევ 2,000 თოფს მოატანინებო, რომელნიც არტაანის ახლომახლო სოფლებში დაჰყარა ოსმალოს ჯარებმაო. 1500 ეუთი მარტო ჰატრონები დარჩენია მტერს.

გენ. ჩოლოყაშვილი უკვეთ არის. —

ჰავასის სააგენტოდამ:

ლონდონი, 11 (23) მაისს. ინგლისის მმართებლობამ შეატყობინა უმთავრესს სახელმწიფოებს, რომ ის წინააღმდეგია, რომ, რუსეთსა და ოსმალოს შუა ომის დროს, ნეიტრალური სახელმწიფოების ხომალდებს, საკაჭრო იქნებიან, თუ სამხედრონი აღეკრძალოსთ სუეცის არეში (კანალი) გავლა.

ბერლინი, 11 (23) მაისს. თ. ბისმარკი ბერლინში მოვიდა.

ომის ამბები

გაზ. „პრესსის“ ბუხარესტელი კორრესპონდენტი იწერება, რომ სენატორების და დეპუტატების საიდუმლო კრებაზე, რომელიც 26 აპრილს ყოფილა, პალატის თავსმჯდომარეს, უფ. როზეტეტს, შემდეგის სიტყვებით განუმარტავს ამ ჟამითი რუსეთისა და რუმინიის არმიებთ შორის დამოკიდებულება: რუმინიის არმიის სარდლათ იქნება მხოლოდ თავადი ქარლი. ეს არმია შეადგენს რუსის სამხრეთი არმიის მარჯვენა მხარეს და დანიშნულება მისი იქნება, მტრისაგან დაიცოს მცირე ბათმანი ჩხოი რომ შეგაყაროს კაცმა, ერთი კაკალი არ ჩამუარდება, ისთე დაწეწილი და დაგლახავებული დაღოღავ, და რაღაია შენი ქონება და ბიჭობა? მაგ რაია, რომე ადამის წლის ტყაპუჭაში გახოულხარ და თავზე თხაის ქეჩხო ჩამოგიმფხობია! ესაა თქვენი ბიჭობაააა? თავს ლაფი კი დავასხი იმ ბიჭს, რომე მაგისთანეი ტანისამოსი ჩეიცვას ჩვენში! მერე სირცხვილით საღა უნდა გამეიჩინოს თავი!

— ქიდევაც მითვინ არა გაგაჩნიათ რა, შვილოსა, რო რაც გაქვთ, სულ ტანზე იკრამთ და სახლში კი თაგვები ლეკურ კი თამაშობენ!

— შე უბედურო, აბა რა ეშმაკათ მინდა რამე, მე თვარ მევიხმარ! ზანდუკში რომ ჩავაწყო, ქე რათ მინდა, წავხდი! ბიჭი ხარ, ბიჭურათ ჩეიცვი და დეიხურე, კაი სვი და კაი ჭამე! თვარა მოვკვტე და ჩემთვინ არაფერი მევიხმარო, ის რავა იქნება, ღმერთო კი მომკალი! შეინახავთ ფარეს ზანდუკში და, სული რომ გვხთებოდეს, კაკალი ვორი კაპეიკს ვერ გეიმეტებთ, ვორი კაპეიკს. თავს ლაფი კი დავასხი ამისთანე ქონებას. არა, თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი — ვის უნახავთ მა ქონებას!

— ვისა? ვისა და შვილებს, შვილი შვილებს და ნათესავებს.

— ვაი, თქვენ ჭკუას, თქვე საწყალებო! თურმე სუნთლათ გამოჩერჩეტებული კი ყოფილხართ, თქვე საწყალებო! შვილებს დოუტუო რავა, იმან ქე რა უნდა გააკეთოს! ყოლიფერი რომ მზათ ექნება, არ იცით, რომე არაფელს არ გააკეთებს, ხელებს არ გაანძრევს, დეედება სამკვეთოსავით და დოუწყებს ჩუჩქნას ღორსავით? მამიდგან რომ იმედი ექნება, დეეჩვევა სიზარმაცეს და ერთ ფარად არ გამოადგება ოჯახს. აბა კიდევ იმიზა ხართ თურმე ასტე ზარმაცები, რომ მამიდგან გქონიათ იმედი. ბიჭობა იგია რომე შენი თავით იშუო რამე, თვარა მამა და ბაბუა რას ქვია, ვის ქვია, ღმერთო კი მომკალი! მამამ რომ დამიტუოს რამე, იგი სულ ხომ არ მეყოფა ჩემ სიცოცხლეში: სანამდი მაქ დეეწყეფ ზარმაცობას, მერე რომ შემომელევა, ვერაფელს გავაკეთეფ და დავრჩები მშრალი.

ფელეტონი

იმერელი თფილისში

(ეუძღვნი უ. Iოაკ. ქანდელაკს)

— საკვირველია, თუ იმერლებმა ქახეთი არ მოიარეთ, ან ქალაქი არ ნახეთ და მოსამსახურეთ არ დაუდექით ვისმეს, არ შეიძლება, — ეუბნება ქართველი იმერელს. ბაგიგიათ, რომ იმერლები მოწონთ მოსამსახურეთ და დედიან ბუდიანათ გადმოცვივდებით ხოლმე, სარსარაკებივით, და დაეხეტებით აქა-იქა. ლამის მარტო თქვენ დაგრჩესთ ე ქართლ-ქახეთი!

— ძაან კარქა გვიქნია, თუ კაცი ვარ! რეიზა არ გადმუალთ თუ იცი?! მიუგებს იმერელი. აბა თქვენსავით სოკოსავით კარ დეევდეფით ერთ არდგილას. თქვენ წორეთ სამკვეთო ხართ, მეტი არაფერი! აპა, თუ კაი კაცი ხარ და შენი ქვეყნის გარდაია, სხვა ქვეყანა გინახავს რამე? ჩვენ გადმუალთ, გეევლით, გამეევლით, ამას ენახავთ, იმას ენახავთ, ყველა არდგილებს დეევლით და ისთევე წავალთ ჩვენთვის, ჩვენ ქვეყანას.

— რაო, რაო? ისევ წავალთო! შენმა სიცოცხლემ, წახვალთ კი არა დაა! რამდენი არიან თქვენებურები, რომ აქედამ აღარ მიდიან? ჩავარდებიან ხოლმე ცოლ-შვილში და მუდამ აქა რჩებიან! რო არაფერი გაქვთ, შვილოსა, მითვინ გადმოწოწდებით, თორე რატო ჩვენ კი არ მოვდივართ თქვენში?

— უკაცრავათ, ლაპარაკობ ყმაწვილო! რავა არაფელი გვაქ! თვარააფერი, გვაქ მომძანდით და გაგიცვლით ჩვენ ქვეყანას! კიი!

— ოჰ! შენმა მზემ, ღომში ბამბასაებ პურ გავცვლით, არაა?

— ძე ვინ გეხვეწება გაგვიცვალეო, თუ იცი!

— თვარ გვეხვეწებით, მაშ, რაღათ გადმოდიხართ? იქ კი ვერ იცხოვრებთ?

— რეიზა გადმოვდივართ?! რეიზა მოვდივართ და იმიზა, რომე თქვენთვის შნოი არ მიუცია ღმერთს მეიხმაროთ ქონება და ჩვენ მაინც მევიხმართ. თქვე საწყალებო, თქვენ თუ შნოი ქონდეს, რათ გინდათ ამდონი ქონება? თქვენი თავიზა არ გინდაათ? აპა დეიხედე ტანზე, ერთი ბათმანი ჩხოი რომ შეგაყაროს კაცმა, ერთი კაკალი არ ჩამუარდება, ისთე დაწეწილი და დაგლახავებული დაღოღავ, და რაღაია შენი ქონება და ბიჭობა? მაგ რაია, რომე ადამის წლის ტყაპუჭაში გახოულხარ და თავზე თხაის ქეჩხო ჩამოგიმფხობია! ესაა თქვენი ბიჭობაააა? თავს ლაფი კი დავასხი იმ ბიჭს, რომე მაგისთანეი ტანისამოსი ჩეიცვას ჩვენში! მერე სირცხვილით საღა უნდა გამეიჩინოს თავი!

— ქიდევაც მითვინ არა გაგაჩნიათ რა, შვილოსა, რო რაც გაქვთ, სულ ტანზე იკრამთ და სახლში კი თაგვები ლეკურ კი თამაშობენ!

— შე უბედურო, აბა რა ეშმაკათ მინდა რამე, მე თვარ მევიხმარ! ზანდუკში რომ ჩავაწყო, ქე რათ მინდა, წავხდი! ბიჭი ხარ, ბიჭურათ ჩეიცვი და დეიხურე, კაი სვი და კაი ჭამე! თვარა მოვკვტე და ჩემთვინ არაფერი მევიხმარო, ის რავა იქნება, ღმერთო კი მომკალი! შეინახავთ ფარეს ზანდუკში და, სული რომ გვხთებოდეს, კაკალი ვორი კაპეიკს ვერ გეიმეტებთ, ვორი კაპეიკს. თავს ლაფი კი დავასხი ამისთანე ქონებას. არა, თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი — ვის უნახავთ მა ქონებას!

— ვისა? ვისა და შვილებს, შვილი შვილებს და ნათესავებს.

— ვაი, თქვენ ჭკუას, თქვე საწყალებო! თურმე სუნთლათ გამოჩერჩეტებული კი ყოფილხართ, თქვე საწყალებო! შვილებს დოუტუო რავა, იმან ქე რა უნდა გააკეთოს! ყოლიფერი რომ მზათ ექნება, არ იცით, რომე არაფელს არ გააკეთებს, ხელებს არ გაანძრევს, დეედება სამკვეთოსავით და დოუწყებს ჩუჩქნას ღორსავით? მამიდგან რომ იმედი ექნება, დეეჩვევა სიზარმაცეს და ერთ ფარად არ გამოადგება ოჯახს. აბა კიდევ იმიზა ხართ თურმე ასტე ზარმაცები, რომ მამიდგან გქონიათ იმედი. ბიჭობა იგია რომე შენი თავით იშუო რამე, თვარა მამა და ბაბუა რას ქვია, ვის ქვია, ღმერთო კი მომკალი! მამამ რომ დამიტუოს რამე, იგი სულ ხომ არ მეყოფა ჩემ სიცოცხლეში: სანამდი მაქ დეეწყეფ ზარმაცობას, მერე რომ შემომელევა, ვერაფელს გავაკეთეფ და დავრჩები მშრალი.

ბას ერთობ ეტყობა, რომ ძრიელ ცუდი ამბები უნდა მოსდიოდესთ. ოსმალოს გაზეთები, ცალკე დამატებებში, ვინ იცის როგორ სცდილობენ, რომ გააზვიადონ თავიანთი ჯარების გამარჯვება რუსეთის ჯარებზე, მაგრამ ხალხი მაინც არ უჯერისთ მათ. ყველა სტამბოლელ გაზეთებიშ ამ მხრით, გაზ. „ვაკითი" არის შესანიშნავი, რომელიც განსაკუთრებით სცდილობს, ომის ველიდამ ტყუილი ამბებით იმედი მისცეს ხალხს და, ამნაირად, ალტაცებაში მოიყვანოს ის.

ამას წინათ მაგ. „ვაკითმა" დაბეჭდა, რომ, ფოთის ახლო, ჩვენმა ესკადრამ მტრის (რუსეთის) სამხედრო პარახოდი, ჯარებით, დაჰლუპაო, რომ სოხუმში მარტო ორი სახლი დარჩა დაუწველიო, და ეს ორი სახლიც ჩვენებმა ჯარების ლაზარეთად გარდააკეთესო და სხვ. ბევრი ამისთანები იბეჭდება ამ გაზეთში, მაგრამ კაცი ყურს არ უგდებს—ყველა დარწმუნებულია, რომ გაზეთი ტყუის.

—

გაზ. „პრესსის" თფილისელი კორრესპონდენტი თავის გაზეთს აცნობებს, რომ გენ. ლორის-მელიქოვი არ აპირებსო ყარსის რიგიანათ შემოსაფრვას, რადგან დარწმუნებულიაო, რომ ოსმალოს მმართებლობა ამ ციხეს, ხორაგეულის ნაკლებობის გამო, მალე დაგვითმობსო. ესვე კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ დღეებში გენ. ლორის-მელიქოვს ყარსიდამ პარლამენტიორები მოსვლია, მაგრამ, რადგან მტერისაკენ გამოგზავნილ კაცებთან მოლაპარაკების უფლება მხოლოდ კავკაზიის მთელი არმიის სარდალს აქვსო, ამისათვის მას არ მიუღია ეს პარლამენტიორები.

საქართველო

დღიური

*** ბორიდამ ერთი ჩვენი კორრესპონდენტთაგანი გვწერს, რომ, ამ მოკლე ხანში, მდ. ლიახვს საშინლათ მოუმატნია, გამოსულა თავის ჩვეულებრივი კალაპოტიდა მდა იმის ნაპირ ახლო-მახლო მოსახლეებისათვის ძრიელ ბევრი ზარალი მიუცია.

*** ერევნიდამ ნამეტანს წვიმიანობას უჩივიან. ერთი იქაური კორრესპონდენტი სხვათა შორის გვატყობინებს, რომ ამ უკანასკნელს დროს, ერევანში პურისა და საზოგადოთ ხორაგეულის მაზანდას მოუმატნია. მაგ. ფუთი პური მანეთი და ორი შაური ფასობსო, ბრინჯი—მანეთ ნახევრათაო; ფუთი ერბო—თუმნათაო და გირვანქა ხორციც—7 კაპეიკათაო.

*** ბაქოს თათრულს გაზეთში იწერებიან სპარსეთიდამ, რომ სოფ. ქაჰენდში მდიდარი ოქროს მადანი გამოჩენილა.—თუ ეს ხმა მართალი გამოდგა მაშინ, ჩვენში „ოქროს მძებნელებს" ძრიელ დიდს ზარალს მისცემს..

*** სომხურს გაზეთს „მშაკს" სოფ. ქარალეთიდამ სწერენ, რომ იქ ამ ჟამად 150 კომლი ქართველი ირიცხებაო.

*** ეს ორი სამი დღეა, რაც თფილისის ქუჩებზე ხშირად შევხვედრივართ გალატაკებულს, გამხდრებს და უფერულს მათხოვრებს. პირველ შეხვედრაზე თფილისის ჩვეულებრივი გლახაკები—ციგანები, გვეგონა, მაგრამ, გამოკითხვით შევიტყვეთ, რომ ეს საწყლები ვანიდამ გადმოვარდნილნი, იქაური სომხები, ყოფილან.—ეტყობათ ერთობ გაჭივრებულს მდგომარეობაში არიან, თორემ ქუჩა-ქუჩა სიარულს და მათხოვრობას არ დაიწყებდნენ ისინი.

*** საკვირველია, რომ ამ უკანასკნელს დროს ჯიბის ქურდები, „ჯიბგირები", ასე საშინლად გამრავლდნენ ქალაქში.—ისე დღე, უფრო კი ღამე ან სალამო არ გაივლის, რომ ქუჩებზე რამდენიმეჯერ არ შეხვდეს კაცი თავ-მოყრილს და მაჩხუბარს „ქალაქის ბიჭებს".—კაცს ჰგონია, რომ მართლა ჩხუბია, რადგან ხედავ, რომ ერთი-ერთმანეთსა სცემენ და ხან ერთია ქვემოთ და ხან მეორე.—პატარა ხანსუნკა კი სულ სხვა სურათს ჰხედავ; ამ მაჩხუბრებს, ამ წამს რომ ერთი ერთმანერთს თავ-პირში სისხლს ადენდნენ, ერთი მეორესათვის გადუხვევია ხელი და „ქვრივი მიყვარს ქვრივი მე", მოიმღერიან და მიიბუქნებიან არხეინათ.—საქმე თურმე აი რაშია: როგორც სანდო პირებმა დაგვარწმუნეს, ეს მაჩხუბრები თურმე, უმეტესს ნაწილათ, თავათ ჯიბგირები არიან. მერე რა აჩხუბებსთო, იკითხავთ? აი, რა აჩხუბებსთ: რამდენიმე იმათგანი მოიყრიან თურმე თავს და, რომელიმე ქუჩაზე სადაც იციან, რომ ხალხი ბევრი დადის, გაფანტულათ, ერთი ერთმანერთზე შორი-ახლო, დადიან. უეცრათ დაინახეს თუ არა, რომ ხალხი მოდის, ორი იმათგანი ჩხუბს დაიწყებს, ჯერ ისე ქალაქური ლანძღვით, რომ ხალხი მოიტყუილონ და შემდეგ, რაკი დაატყობენ, რომ სამყოფათ, შეიკრიბა ხალხი ქალაქურ კრივსაც გამართავენ. შეიქნება ერთი, ჰაი-ჰუი! დაჰკა მაგას, სულ მაგის ბრალია! და ამასაბაბი იმათიანებიც, ვითომც გასაშველებლათ, შეერევიან ხალხში. ხალხის ყურადღება, რასაკვირველია, მაჩხუბრებზეა მიქცეული; იმას მაშინ ჯიბეები არ ალსოვს. და აი, ამით სარგებლობენ ისინიც: მაჩხუბრების გაშველების უმალ, ისინი მაყურებელი ხალხის ჯიბეებს ეტანებიან, რომ იქიდამ რამე ამოაცოცონ, და ამას ახერხებენ კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ ჩხუბი თავდება და მაყურებელი ხალხიც თავის გზას ადგება და მილაპარაკობს, რომ ამისანა სეირი ნახა. ამ ლაპარაკში, ვნახოთ, ერთი იმათგანი უეცრათ შეჩერდება. —რა ამბავია? ჰკითხავენ. —რაღარა ამბავია, ბუმაჟნიკი დავკარგე!—არა, სახლში დაგრჩებოდა!—არა, კაცო, თან მქონდა, ღმერთმანი. ახლა, მეორე მაყურებელს დასჭირდა—რა დროა შეიტყოს. ისობს ხელს საათის ჯიბეზე, მაგრამ საათი, თუ გინდ მისდღეშიაც არ ჰქონოდეს.—კაცო ამისთანა გინახავთ, უეცრად წამოიძახებს.

— რა ამბავია, ჰკითხამენ.—რაღა რა ამბავია, საათი დავკარგე! საათისა და ბუმაჟნიკის დამკარგველები ერთი ერთმანერთს შესჩივლებენ ამ დროს კი, იმ „ვითომც მაჩხუბრებს" ხედავ, რომ ერთი მეორესათვის ხელი გადუხვევიათ და „ქვრივი მიყვარს ქვრივი მე"-ს მოიმღერიან და მათი ამხანაგებიც იმათ წინ, მიიბუქნებიან არხეინად.

ჩვენის თვალით გვინახავს, რომ ამ ჩხუბზე ხშირად პოლიციას მოუსწრია და მაჩხუბრების წაყვანა მოუნდომებია, მაგრამ პოლიციელისათვის მათ უთქვამსთ: „ვა, შუტილიო", და იმასაც თავი დაუნებებია.—რასაკვირველია, თუ კი პოლიცია ასე ხელალებული იქნა, მაშინ, მეტი რა გზაა, ხალხმა თავისი საშველი [illegible] უნდა იხმაროს ამ ჯიბგირების დასასჯელათ.—და ამის მაგილითსაც „თფილისის მოამბის" მე-98 ნომ. შევხეთით:—„9 მაისს, წირვის დროს ერთს ეკკლესიიდამ სამი ჯიბგირი დაუჭერიათ, სწორეთ ქურდობის დროს; ხალხს გამოუთრევია ისინი გარეთ და ისე დაუმჟავებია, რომ ხელი კი არა, მგონი ღრანჭიც ველარ გაანძრიონ."

*** „თფილისის მოამბეში" იწერებიან ახალციხის უეზდიდამ, რომ ზოგიერთი იქაური ადგილების ოსმალებზე საშინელი გლახა შთაბეჭდილება მოუხდენია არტაანის აღებას. „აქ დღით-დღე იაფდება ხორაგეულობა, როგორც მაგ. ფქვილი, ხორცი, ერბო და სხვ." იწერება კორრესპონდენტი.

*** ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ამბავი „დროებაში" დასაბეჭდათ, რომელსაც დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ:

„ნება დართვითა უმაღლესის მთავრობისათა ამ წლის 5 ს მაისს გაიხსნა გორის უეზდის სოფელს რუისში სასოფლო ბანკი. დამფუძნებელნი ამ ბანკისა შეიყარნენ კ. ხ. მამაცოვის სახლში და ერთს ხმით სთხოვეს მას, რომ მიიღოს მან თავსმჯდომარეობა ამ საზოგადო კრებისა. კ. ხ. მამაცოვმა, დიდის სიამოვნებით მიიღო ეს თხოვნა და შემდეგ მადლობისა ამორჩევისათვის, მოკლეთ აუხსნა იქ დამსწრეთ მნიშვნელობა ამ ბანკისა და თითონ, რადგან არის წევრი ამ კრებისა, აღუთქვა, ამ თავით, შემწეობა ყოველივე ღონისძიებით, მანამ ამ ბანკის საქმე წავა სწორედ და ნაყოფიერად;—ისიც დაუმატა, რომ იმისი გულითადი სურვილი ის არისა, რომ ყველანი მოქმედნი პირნი სასოფლო ბანკისა იყვნენ სოფლის მიწის მუშაკნი. შემდეგ დაიწყეს კენჭის ყრით ამორჩევა სამის მმართველისა და ექვსის პირისა რჩევის წევრათ.

შვიდმა კანდიდატმა ბანკის მმართველათ და ათმა კანდიდატმა რჩევის ჩლენებათ იყარეს, კენჭი ყრებამ გამოარჩია—სამნი პირნი ბანკის მმართველათ; გლეხნი: ესტატე ბუზიაშვილი, სოსე მღებრიშვილი და აზნაური მიხეილ კლიმიაშვილი. რჩევის ჩლენებათ—ექვსნი პირნი: თ. ნიკოლოოზ დავითის ძე ღიასამიძე, აზნაურნი: გიორგი იოსების ძე მამაცოვი, ივანე გიორგის ძე კლიმიაშვილი გლეხნი: გოგია კავლელაშვილი, გლახა ბეჟანაშვილი და გიორგი ბეჟუაშვილი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ეგ ერთი მართალი სთქვი, აი!

— დაგიხიე ფართალი და ქე როის ვთქვი ტყული, რომ ახლა ვიტყოდი!

— ეჰ, ამას თავი დავანებოთ და აბა ერთი გვითხარი, როგორ იყო შენი აქეთკენ წამოსვლა, თავდაპირველად?

— უჰ, ქე როის მოვთვლი მაგას მერე, ბეჩა!

— როცა მოსთვლი, მოსთვლი, რა გეჩქარება; საქმე ხო არა გაქვს რა დაა?

— გამცინებთ და ქე რეიზა გეტყვი ჩემ ანბავს!

— გეხუმრებით, კაცო, ხომ მართალს არ გეუბნებით?

— აპა მოგიყვებით თუ გეიგონეფთ.

— აბა სთქვი გავიგონებთ.

— თუ გეიგონეფთ და ასთე იყო ჩემი საქმე, რომ პატარა ბალანე ვიყავი... რავა პატარა შეკაცო თუთხმეტი წლის ქე ვიქნებოდი, გონია... კი ვიყავი, კი თუთხმეტი წლის, არა მეტიც, ქე ვიქნებოდი; უშველებელი ყაძახი ვიყავი, ვაჟო. გევიხედე და ვორი ჩვენი სოფლის ბიჭები, ერთს ბიჭინიე ერთქვა და მევორეს ბუჭაიე, ქე მევიდენ თფილი ქალაქიდგან პეტრე-პავლობა დღეს. პეტრე-პავლობა ჩვენში იციენ, გონია კვირიკობისთვეში, თუ ივანობისთვეში ქე როდის-ღა მალსოვს. ჰაი, ბეჩა, ქე რავალი სეირი და თვალის ყური იქნებაა! ვორი კვირე სულ მთლათ ერთიანათ ფაცხები და ბამბის კარავები იქნება უშველებელი ერთი ვერსლის ტიტველეი მინდორზე გადაჭრიალებული და ფართლებით, ბაიეის ყვავილსავით, გადაჭრელებული. ვურიე, თათარი, ახალციხელები და ყველაყა დასათვსხებლები იქინა შეიყრიან თავს და აქანა ლაფჩინებს, წულებს და ფოსტლებს ასაღებენ, იქინა ლატარიეავო რაცხა იმას თამაშობენ; იქინა კიდო მეწვრიმალეები გუნდა და ლახუსტაკს და რაცხარაცხებს ყიდიან; აქენეი კიდო ვინცხა ყაზილარები ზილარიან და ბანქოს თამაშობენ ფარებზე. იმდონი ჯარი იქნება, იმდონი, იმდონი, რომე რავარც, ლომის თაველზე კაკალი. ახლა, კიდო მიდორზე ბედოურებს აჭენებენ და ჯირითობას თამაშობენ. დასტურ რომ ძალუან კარგი ხეირი იქნება, შე ნუ მოუკვდე ჩემ თავს. ბიჭინიე და ბუჭაიეც იქინეი ვნახე. მარა აქოურებს სულ არ გავდენ: რაცხა მოკლე სერთუკები ჩეეცვათ, იწრო შალვარი, გაბზიალებული ლაბჩინები და, ფაფანიკის მაგიერათ, რაცხა რუსული ქუდი დეეხურათ, გულზე საათი დეეკიდებიათ და ქე იყვენ ისთე, თავისთვის გამოპრანჭული. დასტურ, ქე დამავიწყდა,—ხელებზე კატის ტყავის ხელთათმანი ჩეეცვათ და პაწაწ-პაწაწკუნე ჯოხები, წკეპლასავით დეეკავებიათ ხელში.

— ბიჭინიას და ბუჭაიას გაუმარჯოს თქვა, უთხარი და იგენმა მარტოტ კალე ხელები გამომიწიენ და გამარჯობა არც ქე იკადრენ; მე ჩაბალახი მევიშვლიპე თავიდგან და მიწამდი თავი დოუკარი.—შე კაცო, გამარჯობას რეიზა ალარ კადრულოფ თქვა, უთხარი.

— გამარჯობა არ იყოვო, ხელი რომ ჩამოგერთვიო, მითხრა ბიჭინიამ: ჩვენ ქალაქში სუყველა ასთე შობიანო, ვინც განათლებული არიანო.

— დასტურ ასთე შობიან, თუ კაცი ხარ თქვა? უთხარი ბუჭაიას.

— კი, ჩემა მზემაო, მითხრა.

— შენმა ბზემ კი არა შენმა ლომი კაკალმა-თქვა! ჩემა ბზემ რალაია, ბოშო-თქვა ვუთხარი!

— თფილი ქალაქში ასთე იციან დაფიცებაო, მითხრენ.

— ჰო, აპა კიდეც იმიზა ატყუებენ ქვეყანას-თქვა, რომ ბზეს და ჩალას ფიცულობენ-თქვა, ვთქვი, და ბიჭინიამ ამაზე ისთე გადეიხარხალა, რავარც ვარიე კვერცხის დადებაზე აკაკანდება.

— რავა ყველის ვაჭარსავით, იცინი, ბოშო, თქვა უთხარი: ტყუილე ხომ არ ვთქვი-თქვა! თუ კაცი ხარ ერთი თფილი ქალაქის ამბავი მითხარით, ბუჭაია; ამდონი ხალხი იქნება როისმეე? რას ამბობ, ამდონი კარა ვოთხი ამდონი ერთ ქუჩაში იქნება უბრალო ვორშაფათ დღესო და როცა პრაზნიკია, მაშინ მთლათ ქვაყუდე, აბაშა და საჯავახოს დონი ჯარი იქნებიანო.

— იიმე, ბეჩა, რას ამბობ, მაგასთქვა! ვუთხარი მე, მეხუმრები, თუ დასტურ უნოფ-თქვა! ამდონი ხალ-

ამ კრებაში უმეტესი ნაწილი იყვნენ გლეხნი, რომელნიც დიდის სიფრთხილით იქცეოდნენ, ამორჩევის დროს. ალმორჩეულნი პირნი ყველანი ღირსნი და საიმედო კაცები არიან.

ამავე კრებაში შეადგინეს რაოდენიმე განაჩენი (პროტოკოლი) ამ სასოფლო ბანკის გახსნის თაობაზედ და იმის მოქმედების დაწყებაზედ.

რუსის გამსესხებელ-შემნახველს ბანკს აქვს კარგა განიერი წრე. ამ ბანკის ფულის წარმოებაში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა სოფელს რუსში მცხოვრებთ 400 კომლს, უარბინსში 80 კომლს, ბებნისში 40, ბრეთში 100, საქაბეთში 40, სასირეთში 20, სოფლებს არადეთსა და წვერს 25 კომლამდინ, სულ 705 კომლსა. ყველა ეს სოფლები ახლო არიან რუისზედ.

ერთი რუისელი

*** 11-ს მაისს, ღამით 12 საათზე გაჩნდა ცეცხლი ქუკიის ხიდზედ, ისევ ი. ვ. მირზუაშვილის შენობებში, რომელნიც ალექსანდროვის ბაღიდამ მარჯვენა მხარეზეა. ერთი ნახევარი საათის განმავლობაში მთლათ ერთიანათ,მთელს იმ რიგზე მყოფს მაღაზიებს,მოედო ცეცხლი,რადგან ამ დღეს, დილიდამვე, საშინელი ქარი ქრიდა. ქარის გამოისობით, რომელიც ცეცხლსა და კომლს ერთად ატრიალებდა, ცეცხლის საქროობის კამანდა ვერას გზით ვერ მიუდგა.—ამ მაღაზიების გადარჩენა შეეძლებელი იყო, და ვეღარც გადაარჩინეს კიდეც—სრულებით დაიბრუკა და გამოიწვა. ყველას ეშინოდა, რომ ცეცხლი, ამ მაღაზიების უკან, ხე-ტყეს არ მოსდებოდა და—უნდა გავსტყდეთ, რომ ამ მხრით ყოჩაღათ უმოქმედნია ცეცხლის საქროობ კამანდას: იქ, მაღაზიებზე ახლო, დაწყობილს ხეებს, თუმც მოჭიდებია, ერთი სახურავიც გადამწვარა, მაგრამ მალე დაუქვრიათ, ასე რომ ცეცხლი შორს აღარ წასულა.—საწყალთ ხუროებს და მხერხავებს მაინც ბევრი ზარალი მისცემიათ.—იკითხონ ამათ, თორემ ვაჭრებსა და, განსაკუთრებით, ჩვენს ივან მინაიჩს რა უშავს? ესენი თავისას აიღებენ—ცეცხლისაგან ზარალის მზრუნველი საზოგადოება ამათ თავისას მისცემს, და ორი თვის შემდეგ დაინახავთ, რომ ივ. მინაიჩი, ისევ იმავე ალაგას, უფრო მშვენიერს მაღაზიებს წამოსჭიმავს.—ჩვენ გვგონია, რომ ეს ცეცხლი განგებ წაკიდებულიი, მაგრამ რომელიმე ღარიბი, იქ ერთ მაღაზიებთაგანში, ეაჭრისაგან კი არა, რომელსაც ყოველთვის ეცემიან—გამდიდრება უნდოდა და ცეცხლი გაუჩინაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, მაისის 4-ს. ქარგა ხანია მას აქეთ, რაც ამ ჩვენს თელავში ტაქცია აღარ გვინახავს ხორცზე და სხვა ხორაგზედ. ამით სარგებლობდნენ ადგილობრივი ყასპები და თავის ნებაზედ ჰყიდნენ ხორცსა. რვა კაპეიკზედ ნაკლებ არ გვაძლევდნენ გირვანქას. ამის გამო საზოგადო ყაყანი იყო თელავში და სამდურავს აცხადებდნენ, რომ ყურს არავინ გვიგდებსო; მაგრამ, რადგანაც პოლიციამდის ვერ მიაწვია ამ საჩივარმა, ამისათვის ხორცი ისევ იმ ფასათ ისყიდებოდა ამ თვის პირველამდის. ეხლა კი, არ ვიცი ვისის ზრუნვით და მოწყალებით გვეღირსა ტაქციის დაწესება: ათი გირვანქა ცხვრის ხორცი ღირს 65 კაპ. და ეგოდენივე ძროხისა—75 კაპ.

თუმცა დიდი განსხვავება არა მისცემია-რა ახლანდელს ფასსა უწინდელთან, მაგრამ მაინც ყასპებს ეს ახალი განკარგულება არ მოსწონთ და ამის მიზეზით, თუ აქამდის დღეში ხუთი და ექვსი ძროხა იკვლებოდა და ათიდგან თხუთმეტი ცხვარი, ეხლა მეოთხედი და მეხუთედ ნაწილიც აღარსად არის და ხალხი დიდს შეწუხებაშია უხორცობით. ყასპები ცდილობენ, რომ მიეცედ ნება უწინდელს ფასად ხორცის გასყიდვისა, მაგრამ ვერ ეწევნენ სურვილს; ეხლა ამათ იმისათვის, რომ ძველებური მოგება არ მოაკლდეთ, გამოუგონიათ ახალი ღონის-ძიება. ვსთქვათ, მივიდა კაცი და უნდა იყიდოს ათი გირვანქა ხორცი; მაშინათვე ყასპები ეცდებიან, რომ წონაში, ათი გირვანქიდგან, ორი ან ერთ ნახევარი გირვანქა ხორცი მაინც მოსხლიტონ, დააკლონ წონას: ყველა სოფლელმა გლეხმა ხომ არ იცის, რომელი საწონი რავდენ გირვანქიანია და ისე არიან ამაში დახელოვნებულები ყასპები, რომ შეუძლიანთ კარგს გამოცდილს კაცსაც აუბან თვალები.

ერთის სიტყვით ისე იჭერენ საქმეს, რომ იმათთვის თვითოეული გირვანქა ხორცი ისევ ძველებურს ფასათ ისყიდება და ტაქციის გამოცვლით ამათ, თუ არა შეეძინათ რა, არც დაჰკლებიათ. თუ ვინმემ შეუტყო წონაში მოტყუება, იმაშიაც თავს ჩქარა იმართლებენ: მაშინათვე ამას მოგცემენ პასუხათ: „აქ ერთი ნაჭერი ხორცი აკლია, რა უყავიო.“ შემდგომ რომ უკეთ დაგიმტკიცოს თავისი სიმართლე, ყასაბი ხელ-მეორეთ გიწონავთ ხორცსა, რომელიც იყიდეთ თქვენ და, რაკი იცის რავდენი გირვანქა დაგიკლოთ აწონაში, თვალით გამოსწონავს ნაჭრებს, რომლებიც წინათვე აქვთ მომზადებული, დაუწყვიათ საწონის მახლობლად და იმ ნაჭრით შეგისრულებთ თქვენს დანაკლისს და გეტყვისთ: რატომ დაგრჩომია აქვე ეს აწონილი ნაჭერიო. ამ გვარათ მსყიდველი, რაც უნდა მართალი იყოს, მაინც ბრალს ქვეშა რჩება და ხმა გაწყვეტილი ბრუნდება უკან. ბევრჯელ იმისთანა პირიც შეეყრებათ ყასპებს, რომ თავს გაიმართლებს და დაუმტკიცებს მათ საწონში მოტყუებას; მაშინ დარბაისელი ყასაბი დაგაჩუმებთ ამ სიტყვებით: „ეგ შენა და ეგეც სუდი! წადი და მიჩივლე. ბევრი, ბევრი ერთი მანეთი შტრაფი წამართონ და ტუსაღებ მისცენ, სხვას რას მიზამენ.“ არცა სტყუვიან ამაში: მე თითონ დავესწარი, რომ ორჯელ დაისაჯნენ თითო მანეთი შტრაფით ყასპები, ამ გვარის მოქმედებისათვის. ამით ყასპებს თუ სარგებლობა არა, ზარალი არ ეძლევათ: სინამ ამათი საქმე გაირჩევა, ისინი ეცდებიან ამ გვარათვე, საქმის გარჩევამდინ, ოთხის და ხუთის მანეთის ხორცი შეიძინონ და იქიდგან შეავსონ გარდასახადი ფული.

თელაველი ქართველი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ფრანციზულის გაზეთებში იწერებიან, რომ ოსმალო სტამბოლის გამაგრებას ფიქრობსო.—

— ერთს ვენის გაზეთში („ვენის პრესსა“), სხვათა შორის, იწერებიან სტამბოლიდამ, რომ პორტას კარგა ხანია მოლაპარაკება აქვს ინგლისის მდიდარ ბანკირებთან, 5 მილიონი სტერლინგის (სტერლინგი 6 მან. 50 კაპ.) დასესხებაზედ. ამ ფულის საზღვევათ (ანუ, ჩვენებურათ, გირაოთ), ბანკირებმა უნდა იქონიონ სახეში ოსმალოს სახელმწიფო ტყეები და მადნები.—როგორც ამბობენ ხაზინის მინისტრის თანაშემწე ზულიბეი, ამ საქმის გასარიგებლად, ამდღეებში ლონდონში მიდისო.—

—სხვა სახელმწიფოების მიხედვით საფრანგეთსა და იტალიასაც გაუგზავნიათ თავიანთი წარმამადგენლები სტამბოლში,—პირველ გრაფი ბურგოენი და მეორეს—გრაფი პორტი.

—გაზ. „პეშტის ლლოიდში„ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ამ დღეებში სულთანი შუმლაში წასვლას ეპირება. სულთანის მაგიერ სახელმწიფო საქმეებს მინისტრების რჩევა განაგებს.—

— ამას წინეთ მდ. დუნაიაზე მონიტერის (სამხედრო ხომალდია) დალუპვას, ძიელი მლახა შთაბეჭდილება მოუხთენია ოსმალელებზედ, რადგან ამ მდინარეზე ისეთაც ძიელ ლოტა ხომალდები ჰქონდათ.—

ესპანია

მოდერადოსების (ძველი წესების დამცველი) პარტია ცდილობს ესპანიაში 1845 წლის კონსტიტუციის აღდგინებას.—ეს კონსტიტუცია თავათ მოდერადოსების პარტიის დადგენილია, სახელმწიფოს იმ მმართებლობის მაგიერ,რომელიც მოწინავე(პროგრესსიულმა)პარტიამ 1837-წ. დაადგინა ესპანიაში. 1869-წ., როდესაც იზაბელა ჩამოაბრძანე ტახტიდამ, მაშინ კორტესსებმა (ესპანიის კანონმდებელმა კრებამ) უფრო თავისუფალი მმართებლობის წესი შემოიღეს და შარშან კი დონ ალფონსმა, ორი პარტიის შესარიგებლად, რომლებთა შორის ერთს 1869 წლის მართებლობის წესის შემოღება უნდოდა და მეორეს — 1845 წლისა, წინადადება შემოიტანა სახელმწიფოსახალი მმართებლობის წესის დადგინებისა, რომელიც პალატებმა 30 ივნისის 1876 წ. კონსტიტუციის სახელით მიიღეს კიდეც.მოდერადოსებს ჰგონიათ თურმე, რომ ეს ეხლანდელი მართებლობის წესიც ერთობ ბევრს თავისუფლებას ანიჭებს სახელმწიფოს ქვეშევრდომებსო და ამიტომაც ჰსურთ ისევ 1848 წ. კონსტიტუციის ხელ-უხლებლათ შემოღება.—

ხი რავა იქნება, შე კაცო-თქვა!

— მართლა გეუნები, ჩემმა მზემ!

— რახანც ჩემა ბზემო ფიცულოფ, არ დეევჯერეფ, არა, მერთმანი.—ზიარების მადლ.მა მართლა გეუნებიო, თქვა! ხალხი რაია, ისეთ ისეთი სახლები არიან, შენმა მზემაცაო, რომა თვალს ვერ შოუწვევო! აბა, ჩვენს ეოდებს კარ გაესო. იქ მარტო ფაიტონებია იმდონი, რაც აქანე ხალხიავო.... ბრეველი რაცხა რაცხაები მელაპარიკა კიდო, მარა ეინ ჩამოთვლის მთლათ! იქინეო ტრიატებიავო, მუზიკას უკრავენო ბაღში ცისმარია დღესო; რაცხა სასმელიავო, რავარც შესვამ ერთ ჭიქასავო სიცხეში, ისე გალიგვდები, რავარც ყინვაო. ახლა ნამესნიკის სახლი მიქეს, მიქეს, რომ ამისთანე და იმისთანეავო; თამაშოვის ქარავასლა არისო, იმისისხო ბალისკონი აქო, რომე ბედოური გაჭიანდებავო; ბანო არიო იმისთანეო, რომ მიაიდგან გამოდის ღელესავით წყალი წივი და ცხელი და იმით ბანობენო.. ცა ვიცი, ვაჭო, რაი არ მითხრენ! რვეო თუთხმეტი მანეთი მომცენო, მევაც ჩეევდიო, და მერე ვოზდა ოთხი მანეთი გამიხადენო. იმერელ ბიჭებს ძალვან დეეძებენო, რახანც პეპელებსავით ცქვიტები არიანო....

ჯარიანობა თლა დამავიწყდა და სულ იგი ვალაპარიკე—თფილი ქალაქი რა ვალი არი თქვა. იმე, ერთი თვარ ეზდურთე თავი იმ თფილ ქალაქში თქვა, და რაღა ფოფილიე ვიქნები თქვა! ვოქვი ჩემს გუნებაში. —როის მოხვედით იქიდგან თქვა, ვუთხარი და გუშხამწინ მეევედითო, მითხრენ. მე ვთხოვე იგენს, თუ შეიძლება წამიტანეთ თქვა და იგენმა მითხრენ—თუ კი წამოხვალ, რეიზა არ წაგიტანთ, შე კაცო.

— აბა მე ბიჭს ნუ დამიძახეფთ, თამსხლაფი დემესხეს თავზე, თვერ წამევიდე თქვა, რახანც ამისთანე კარგი ყოფილა თფილი ქალაქი თქვა, უთხარი.—როის წახვალთ თქვენ თქვა, და ჩვენ ზეგე უნდე წევიდეთო.—დასტურ?—დასტურ.

— აბა მეემზადეთ და ერთათ წევიდეთ, თუ კაცი ხართ თქვა.

— ჩვენ ბზათ ვართ, მარა შენი ბიძიე და ბიცოლე რას გიზამენო?, —მითხრა ბიჭინიამ.

— ხახვი არ გადამაჭრან კისერში! —რავა, რაი უნდა მიქნან, ბოშო! შავი ბჟოლეი კი არ მომითხარონ ძირში, აბა!

— თუ გაგიგენ, დაგაბამენ შენი ძმანები და დანები დაარ გაგიშობენ.—ვეი ბლაწ! ქერავა თუ დამაბმენ! რას ამბობ მაგას! ღმერთო კი მომკალი, დამაბამენ რავა, სასუქი ხომ არა ვარ!

— დასტურო?—დასტურ გიჩივი თქვა, ბოშო, დასტურ!

— აბა შენ იცი და შენმა ბიჭობამო!მითხრა ბიჭინიამ: მოშორდი ამ ჯანაბა ქვეყანას და სამოთხეში წაგიყანო და წევიდა თავისთვის შინ.

მე გავძვერი ხელიკივით ჯარში, ჩავცინცილდი ღელის პირში და დეევწყე ფიქრობა: რაფერათ გევიპარო ახლა თქვა. ზეგე რომ პარასკევია, მევიგონეფ ქალაბნები და ქილები (მასრები) მინდა თქვა და ეორპირში უნდა წევიდეთ თქვა. ოთხი მანეთი ქე მაქ, ეოთხ ბათფან ღომს, ხუთ ქსან ბამბას და ხუმბრას ჩუმათე წევიღეფ, იქინე გავყიდი, ამ ფარებს იმ ეოთხ მანეთს მუუმატეფ თქვა და კაი ძალი ფარები იქნება თქვა, ჩევიჩხრიალეფ ჯიბეში და საგძლათ ქე მეყოფა და მერე ღმერთია მოწყალე, ვფიქრობ აგერ ჩემთვის. ეორპირში ბუჭაიე და ბიჭინიეც დამხვეტებიან, ჩოუყდებით ტროიკაში და ამოვრგავ თავს თბილი ქალაქში თქვა იქინე მოჯამაგირეთ დოუდგები ვინმეს და ქე ვიქნები ჩემთვის ლამაზათ თქვა, მაშინ ჩემ ბედს ძაღლი აღარ დაყეფს თქვა. მერე თუ ერჩიოს ქე მძებნოს ბიძანებმა და ძმანებმა.. ასთე ამ ფიქრში რომ ვიყავი ღელის პირში, გევიხედე და აგერ ჩემი ძმაი მოძუნძულობს მამალი მგელსავით.

— თფუი, ჯვარი აქურობასაო! მე შენი ძებნით დავატყავე აქოურობა, ბიჭო, და შენ აქანე აგდიხარო? წევიდეთ შინ, თვარა დაბნელდა, შე დასაბნელებელო! მითხრა ჩემა ძმამ.

— რა თავს იგდეფ, ბიჭო, გემეცალე იქით თქვა, უთხარი: დასაბნელებელიც ხარ და არც კი იცი თქვა! რა და, ბეჩა! თუ რამე ნახე და იშოე. მოგიხთება,ქე შეინახე!.. გულს მიფანცქალებდა, მეყრებოდა და იმიზა ჩამუელ „აქანა, იქნება გადამიაროს ოქვა, უთხარი და წევედით შინ.—

თეოფ. ქანდელაკი

(დასასრული შემდეგ №-ში)

ინგლისი

ინგლისელ გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი გამოჩენილი ისტორიკოსი ქარლეილისა, მიწერილი ამ გაზეთის გამომცემელთან:

„მ. ხ. ყოველგან დადის ეს ხმა, რომ ჩვენს პირველ მინისტრს, წინაალმდეგ ნეიტრალიტეტისა, რომელიც გამოაცხადა ჩვენმა ხელმწიფამ, უნდა, ვითომ „ბრიტანიის ინტერესების“ დასაცველად, გაგზავნოს ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაში, ან და ისეთი რამ მოახდინოს, რომლის მიზეზით რუსეთი იძულებულ ჰყოს ინგლისთან ომის გამოცხადებისა. უკანასკნელ დროში ეს ხმა გადასხვაფერდა, ბალტიის ზღვიდამ— აღმოსავლეთში ამოყო თავი, სადაც ისეთი რამ მოხდებაო, რომ არა თუ რუსეთი, მთელი ევროპა გამოგვიცხადებს ჩვენ ომსაო. მე დავრწმუნდი, რომ ეს უკანასკნელი ხმა შეურყეველი ფაქტია, რომელსაც ეხლანდელი ჩვენი საქმეების მდგომარეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს.“

ამის შემდეგ ქარლეილი ამბობს რომ „ბრიტანიის ინტერესების“ შესახებ, საჭიროა მარტო ინდიის გზა დაიცვან სუეცით და ეგვიპტეთი“.

რაც შეეხება იმას, რომ ინგლისმა სხვა რამ ნაირი კავშირი დაიკავოს სათათრეთთან, ქარლეილი ნიშნავს სასირცხოთ, და ურჩევს ყველა სამშობლოს მოყვარულებს ამ ზემოთ მოყვანილ ხმებს, რომლების სიმართლეში მწერალი დარწმუნებულია, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ: „ვინ იცის ბრიტანიის მმართებლობამ ისეთი რამ არ მოახდინოსო, რომლის გამო მთელს ევროპას ცეცხლი არ მოედოსო.“

წერილები

I

უფ. რედაქტორო!

კარგა ხანია რაც მე ხშირი მუშტარი შევიქენ ფოჩტისა: თუ ყოველ დღე არა, კვირაში ორჯერ მაინც უნდა დაიკრას ზურგზედ „ბილეთი“ ჩემმა ნაწერებმა და გაემგზავროს საითმე, ზოგჯერ, რასაკვირველია, ძალიან საჭირო საქმით დატვირთული, ზოგჯერკი—ტყუილ-უბრალოთ, სასეირნოთ. მაგრამ, საუბედუროთ, არა ერთხელ ჩემ გამგზავრებულ ფრაზებს შუა-გზაზედ ფეხები მოსტეხიათ, ან გასამგზავრებლათ მომზადებულნი საღღაც ნაგავისა და ლაფის მორევში შეტოპულან და სრულიად ბოლო მოღებიათ; ამისთვის უკან კიდე მეორე გამომიდევნებია მეტი პრაგონით, მაგრამ ესეც მსგავსად პირველისა დაუჯაბნებიათ და უმოწყალოთ სადღაც ჩაუწიხლამთ! დიახ, ეს მე დიდი ხანია ვიცი მაგრამ რას ვიქმ!.. ან ეხლა რას ვიქ, მის მეტს, რაც სხვებს მაინც არ გავაფრთხილებ, რომ იმათაც ჩემი დღე არ დაადგეთ.

წარსულ მკათა-თვეში ბორიდამ ნოტარიუსის დამტკიცებული რწმუნება (довѣренность, რომელშიაც 1½ მანეთამდი გამივიდა), ერთ თაბახ ქაღალდზედ გავგზავნე უ. მ. მ—ვის სახელზედ 16 კაპ. მარკით, მაგრამ ის აღნიშნულ პირს ჯერაც არ მიუღია. ბორიდამვე „დროების“ რედაქციაში გაგზავნილი წერილები რამოდენჯერმე დამეკარგა.

ქრისტე-შობისთვეში სიღნაღიდამ ქუთაისში რვა კაპეიკით ერთ მისხლიანი წერილი გაუგზავნე ს. კ,—ს, მაგრამ ვინ იცის იმის ნაგლეჯები საით გაფანტა „ქვენამ“! აქედამვე „დროების“ რედაქციაში გაგზავნილი წერილები ზედ მიწევნით ვიცი ხუთამდე მაინც დაკარგა ახალწლის აქეთ. ყველა დაკარგული წერილების თითოულათ ჩამოთვლას არც საჭიროთ ვრაცხ მაინცა და მაინც და არც შემიძლია. აბა სად დანახსოვრდეს ადამიანს დრო, ალაგი და პირი, როდესაც სადაც და ვისთანაც გაგზავნა, ან რომელსაც ჩამოურთმევია უბრალო ბარათი!? რაც ზემოთა ვსთქვი, იმას ერთ მაგალითსაც დაუმატებ და საკმარისი იქნება. ამწლის თებერვალში მე მივიტანე ფოჩტაში დაბეჭდილი კონვერტი, რომელშიაც იდო ერთი დიდი თაბახი პოშტის ქაღალდისა, კონვერტზედ დავაწერე. Въ Тифлисъ. Въ контору Редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова, და, რადგანაც პოჩტმეისტერი იქ არიყო და მარკები უიმისოთ ვერ ვიშოვე,—(ეს იყო ორშაბათს, სადილს უკან მეორე დღე ფოჩტის დღე იყო) მივეცი კანვერტთან 16 კ. ფაჩტალიონებს, უუ. №№—ბს, თან განმეორებით ორჯერ-სამჯერ ვსთხოვე, რომ არ დაკარგონ, ძალიან საჭიროა; მაგრამ რას ვხედავ! Ვკითხულობ „დროების ფოჩტაში“ შემდეგს: „ს—ს, თ.—კ. ქვენი მოთხრობა არ მიმიღია. გვიკვირს, რატომ“.... აბა, უ. მკითხველო, ეხლა ხელ-მეორეთ უნდა დავადევნო უკან სხვა, განა? მაშინდელი 20 კ. (4 კ. კანვერტი და ქაღალდი) ფუუჭ?!

რამიზეზია ეგრე წერილების დაკარგვა? ნუ თუ გზებში იკარგება? მე დაკვირვებული ვარ და ვხედავ, რომ რედაქციაში გაგზავნილი წერილები მეტი მეკარგება, მინამ სხვა ადგილებში. თუ გზებში იკარგებოდეს ეგრე არ იქნებოდა, ე. ი. მარტო რედაქციაში გაგზავნილი წიგნები არ დაიკარგებოდა.—მაშ სად იკარგება?

ჩვენ თავათ ფოჩტაზედ გვაქვს ეჭვი და თუმც მართლა ეს ასეა, მაშინ საჭიროა მგონი, რომ უუ. ფოჩტმეისტრებმა თვალ-ყური ადევნონ თავიანთ ზოგიერთ წვრილმან ფაჩტალიონებს?. წინაამდეგ შემთხვევაში, უბრალო მოკითხვის წიგნიც უნდა სტრახოვით გაიგზავნოს და მაშინ.... და მაშინ გეიხაროდეს მარკის გაიაფება!..

თეოფ ქანდელაკი

II

თუ ქიზიყის სასოფლო შკოლების ზოგიერთ მასწავლებლების ცუდ ყოფა-ქცევაზედ შენიშვნის დამწერს („დროება“ №41, „ღლიური“) პირი არ ერცხვინება და მართალს ამბობს, თუ, რაც უთქვამს, ყოველივე თავისი თვალით უნახავს, ან სანდო პირისგან გაუგონია, იმედი აქვს, შეიძლებს ყოველივეს დამტკიცებას ფაქტებით და არა ლიტონი, ხმელი სიტყვებით, არ არის იმისი სიტყვები დედაკაცური ცრუ მიტან-მოტანად ჭორიკანაობა, ან შური და ჯაბრი მასწავლებლებზედ,—მაშინ ის სახელდობრივ იტყვის (და იტყოდა), რომელნი არიან ის „ორნი, რომელნიც ერთ შკოლაში არიან (?!) და-ნადირობისა და ქეიფის“ მეტს არას აკეთებენ. დიახ, თუ ის მართალია, ამას გამოაცხადებდა სახელდობრივ და მაშინ პასუხსაც მიიღებდა, ვისგანაც რიგი იქნებოდა; თუ არა და,—იმისი სიტყვები არიან დედაკაცური ჭორები და პასუხსაც ვერავინ ვერ მისცემს, იმიტომ რომ ქიზიყში ახალი მასწავლებლები არიან ხუთამდე და სიკრუეს თავის თავზე ტყვილად არავინ არ მიიღებს, და თავის გამართლებასაც არავინ არ დაიწყებს.

P. S. ამ წერილის დაგვიანების მიზეზი, უფ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის, იმ ზემოხსენებულ ნომრის გვიან მიღება არის.

საწყალი მასწავლებელი

ქიზიყი, 23 აპრილს 1877 წ.

განცხადებანი

„კიკეთი“

ამ დღეებში გაიხსნა სარძეო სარდაფი „კიკეთი“ სადაც ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, სმეტანა, ტვოროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული, რძე, და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭირო რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოაცხადონ სარძეო სარდაფში თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.—

სარძეო სარდაფი „კიკეთი“ იმყოფება: დეორეოვის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო. 3—1

ბეჭდიდგან გამოვიდა და ისყიდება
მეხუთე კარი

„ყარამანიანი“

სოლოლაკზე ს. ბ. მელიქიშვილის სტამბაში; ქუკიის ხიდზედ ბართანოვის საწიგნო მაღაზიაში.

ფასი 40 კაპ.

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგზავნი

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—132

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ყახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 29 აპრილს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში 3½ პენსი.	—	84
პარიჟში 271 სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	188	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	184	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის (5½)	79	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	497	—
კავკაზის და მერკურის. .	185	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	712	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	265	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 7 მაისს		
პური შორაგალის ფთ.	1	80
ქერი ფუთი. . . .	—	95
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	60
—ამერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ.	6	70
—თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	50
—ფხვნილი ფუთი . .	5	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	47

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Мая 1877 г. Типографія Меликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.